

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 42

ქ. თბილისი

09.07.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ამილახვარი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ხათუნა თოღაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი; სხდომის მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ქრისტინე გაბისონია - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის

პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები :

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ფრიდონ გოგიაშვილი - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი;
- პაატა გერაძე - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ომარ კიკვიძე - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების“ ხელმძღვანელი;
- ქეთევან ცხაკაია - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის" ხელმძღვანელი;
- ლალი ზივზივადე - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროენერგეტიკის" ხელმძღვანელი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

- ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

- ია მოსაშვილი;
- ვახტანგ ბალაგაძე;
- ალექსანდრე წაქაძე;
- ნიკა თიკანაშვილი;
- შალვა კვირკველია;
- ვალერიან გობრონიძე;
- ნინო დავითაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:32 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაევსირა საბჭოს წევრს - სალომე თოთიბაძეს.



საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები
კვალიფიკაციის დონე	მე-8 დონე
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის დოქტორი, 04
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა თავჯდომარემ ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ჯგუფის წევრებმა დაამუშავეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 3 ივნისს. დაწესებულების მხრიდან, აკრედიტაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო მაღალ დონეზე. შეხვედრები განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ურთიერთშეჯერების საფუძველზე, წარმოადგინეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა. „საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა იყო ახალი და მოიცავდა 180 კრედიტს, მისანიჭებელი კვალიფიკაციით - ინჟინერიის დოქტორი. პროგრამა შემუშავებული იყო ახალი საკვალიფიკაციო

ჩარჩოს ამოქმედებამდე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შედეგად, გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

უნდა ჩასწორებულიყო პროგრამის მიზნების ბლოკი; ასევე უნდა მომხდარიყო პროგრამის სწავლის შედეგების ბლოკის ჩასწორება;

სასწავლო კურსის - „კონსტრუქციების გაანგარიშების მოდელების“ სილაბუსში უნდა ყოფილიყო მითითებული კონკრეტული კომპიუტერული პროგრამული კომპლექსი, რომლის გამოყენებითაც მოხდებოდა კონსტრუქციების მოდელების შესწავლა და მიღებული შედეგების ანალიზი;

სილაბუსში სალექციო თემას - „საანგარიშო სქემის აგება“, უნდა დამატებოდა შემდეგი ჩანაწერი: - „საანგარიშო სქემის აგება პროგრამული კომპლექსი „ANSYS“-ს ან სხვა კომპიუტერული პროგრამული კომპლექსის საშუალებით“.

დისერტაციაზე მუშაობის დროს გამოყენებულ უნდა ყოფილიყო თანამედროვე ლიტერატურა, მით უფრო, თუ საკვლევი საგანი მოითხოვდა თანამედროვე მეთოდების და საშუალებების გამოყენებას.

გარდა რეკომენდაციებისა პროგრამის განვითარების მიზნით ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რჩევები.

ექსპერტებს ჰქონდათ გასაუბრება იმ პროგრამის სტუდენტებთან, ვისაც სადოქტორო საფეხურზე შეუჩერდა სტატუსი, იმის გამო, რომ პროგრამები გაუქმდა და მათ საფუძველზე მოხდა ამ ახალი პროგრამის ინიცირება.

საბჭოს წევრი გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, თუ რა იყო სადოქტორო პროგრამების გაუქმების მიზეზი. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების ფარგლებში გამოვლინდა, რომ როდესაც ავტორიზაციის პროცესისათვის ემზადებოდნენ, გადაწყვიტეს სადოქტორო საფეხურის პროგრამების შეჩერება.

საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ სადოქტორო პროგრამების გაუქმების მიზეზი იყო მათი ხარვეზიანობა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის პროგრამების გაუქმების მიზეზი იყო აკადემიური პერსონალის ოპტიმიზაციის პროცესი, ამიტომ გაუქმდა ან შეჩერდა რამდენიმე სადოქტორო პროგრამა.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა თუ რატომ იყო საჭირო აკადემიური პერსონალის ოპტიმიზაცია ავტორიზაციის პროცესისთვის, თუკი პროგრამა/პროგრამები მუშაობდა და ჰქონდა ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გასული წლების მონაცემებმა აჩვენა, რომ სადოქტორო პროგრამების აკადემიური რესურსის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პერსონალთა რაოდენობა გარკვეულ პროგრამებზე არ იყო საკმარისი. ასევე, სტრატეგიული გეგმის მიხედვით, საჭირო იყო ფაკულტეტის საბჭოს მიერ მომხდარიყო პროგრამების კონსოლიდაცია და სამეცნიერო პოტენციალის გასაერთიანებლად ჩამოყალიბებულიყო ერთი ინტეგრირებული სადოქტორო პროგრამა. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა მიმართულებები, ყველა შინაარსობრივად იყო მოცული ახალ პროგრამაში.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი პროგრამა გაუქმდა და რამდენი ინტეგრირდა ამ ერთ პროგრამაში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა,

რომ 5 სადოქტორო პროგრამის ნაცვლად ინტეგრირდა ერთი სადოქტორო პროგრამა. თუმცა, შინაარსობრივად ინჟინერიაში საჭირო იყო კომპლექსური მიდგომა, მასალების მოდელირება, კონსტრუქტირება და ერთ პროგრამაში თავმოყრა. მისი თქმით, ეს მათ საშუალებას აძლევდა ნაშრომები ყოფილიყო მაღალკვალიფიციური და მაღალი დონის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობის პირობებში შესრულებულიყო. დამატებით განმარტა, რომ ნებისმიერ დოქტორანტს შეეძლო კურსების შერჩევა თემატიკიდან გამომდინარე.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა პროგრამის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით. იკითხა, თუ როგორი პროგნოზი ჰქონდათ მათ, შესაძლებელი იყო თუ არა პროგრამისათვის საჭირო მატერიალური და აკადემიური რესურსებით უზრუნველყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ, მათი გაანგარიშებით 7 დოქტორანტი იყო საჭირო იმისათვის, რომ ფინანსურად მდგრადი ყოფილიყო პროგრამა. წინა წლების მონაცემების გაანალიზებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი იყო განეცხადებინათ, რომ აბსოლუტურად მდგრადი იქნებოდა ეს პროგრამა. შინაარსობრივად პროგრამა იყო ინტერდისციპლინარული და დოქტორანტს ექნებოდა საკვლევი თემატიკის არჩევის ფართო არეალი.

საბჭოს წევრი გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, თუ რამდენი იყო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის გადასახადი იყო წლიური 2750 ლარი.

საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ დარგს ესაჭიროებოდა შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც მუდმივად განახლებადი უნდა ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ენერგეტიკის მიმართებით ლაბორატორიული ბაზა არსებობდა, Background ტექნოლოგიები განახლდა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დახმარებით. ყოველწლიურად ეტაპობრივად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ფინანსებიდან გამომდინარე ხდებოდა რესურსების განახლება. მასალების ინჟინერიაში საჭირო იყო შესაბამისი ლაბორატორიური ბაზა, ამიტომ, მემორანდუმი ჰქონდათ გაფორმებული ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტთან, ინსტიტუტის წარმომადგენელი თავად იყო ჩართული პროგრამაში და უხელმძღვანელებდა დოქტორანტების კვლევით კომპონენტზე მუშაობას.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, ამ პროგრამაზე მოხდებოდა თუ არა გაქუმებული პროგრამების სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა აღდგენა. იგი ასევე დაინტერესდა პლაგიატის პროგრამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰყავდათ ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისათვის დაინტერესებული პირები. ასევე ჰქონდათ პლაგიატის იდენტიფიცირების პროგრამაც.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, გაეგრძელებინათ მათი მოსაზრებების დაფიქსირება.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ია მოსაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა საკითხები, რომელთან დაკავშირებით ექსპერტებმა შეიმუშავეს რჩევები. ეს უკანასკნელი ეხებოდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით კვლევების გაძლიერებას, უნივერსიტეტის ჩართულობას და ხელშეწყობას საერთაშორისო

მობილობის სქემებში და გრანტებში. ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით ხელმძღვანელებად/თანახელმძღვანელებად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი სპეციალისტების მოწვევას. აგრეთვე ექსპერტების რჩევა იყო რესურსების მიმართულებით. კერძოდ, ახალი/თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვა მომხდარიყო უნივერსიტეტის ბაზაზე, რათა სრულფასოვნად დაწესებულების ბაზაზე განხორციელებულიყო ეს პროგრამა. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში უნივერსიტეტს პოპულარიზაცია უნდა გაეკეთებინა საინჟინრო მიმართულებებისათვის, სტუდენტთა მოზიდვისა და პროგრამის ფინანსურად მდგრადობისათვის. ასევე, მეტი თავისუფლება უნდა მისცემოდათ სილაბუსის ავტორებს კრედიტების განაწილებისა და შეფასების სისტემის შედგენასთან მიმართებით, რადგან სილაბუსები იყო უნიფიცირებული.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს, რამ განაპირობა ბოლო რეკომენდაციაში ჩანაწერი, რომ დისერტაციაში მუშაობის დროს გამოყენებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე ლიტერატურა.

ექსპერტმა განმარტა, რომ მათ ნახეს წინა პროგრამის განხორციელებისას დაცული დისერტაციები, სადაც მათ აღმოაჩინეს ლიტერატურა, რომელიც იყო საკმაოდ მოძველებული. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკა იყო ერთ - ერთი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი. ჰქონდათ უდიდესი წიგნსაცავი და ელექტრონულ ბაზებთან წვდომაც იყო თავისუფალი, მათ შემთხვევითობის პრინციპით აიღეს სხვადასხვა სილაბუსიდან 20 სახელმძღვანელო და ყველა სახელმძღვანელო აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში.

საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ომარ კიკვიძემ მიზნების ბლოკის ჩასწორებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში იყო დაშვებული ტექნიკური შეცდომა, რაც გასწორდებოდა და პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდებოდა ისე, როგორც კურიკულუმში იყო მითითებული: „პროგრამის მიზანია მიმართულების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლება სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით მეცნიერული კვლევების საფუძველზე ინჟინერიის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა, ახალი საანგარიშო მოდელების შექმნა და ანალიზი. საინჟინრო ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკური პარამეტრების დადგენა და ოპტიმიზაცია, ასევე სამეცნიერო, კვლევითი მოღვაწეობა“. მისი თქმით, პროგრამის მიზანი ჩამოყალიბდა წინა სადოქტორო პროგრამების საფუძველზე.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სწავლის შედეგების ბლოკის ჩასწორებას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ბლოკი კურიკულუმში აგებული იყო 5 სადოქტორო პროგრამის ბაზაზე და კონცენტრაციების სახით იყო შესული პროგრამის სტრუქტურაში, რაც იწვევდა გარკვეულ გაუგებრობას არჩევითობისა და ინტერდისციპლუნობის კუთხით. მისი განმარტებით, ეს არ იყო კონცენტრაციები, კურსები იყო დაჯგუფებული კონკრეტული კონცენტრაციის გარეშე, სადაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ინჟინერიის დოქტორი. ახალ პროგრამაში კი დარგობრივი კომპეტენციები ექნება კონცენტრაციების შესაბამისად, შედგენილი იყო კურიკულუმის რუკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი „კონსტრუქციების გაანგარიშების მოდელები“ იყო ჩასწორებული. მე - 4 და მე - 5 სალექციო თემებში ჩამატებული იყო კომპიუტერული პროგრამული კომპლექსები. კომპიუტერული პროგრამები დაწესებულებაში ისწავლებოდა ბაკალავრიატის საფეხურიდან. მე - 12 სალექციო თემაში დამატებული იყო მოდელების ექსპერტიზა. იგივე სილაბუსი ჩასწორდა და მეორე სალექციო თემა გახლდათ „საანგარიშო სქემის აგება Access ელემენტებით, ან პროგრამული კომპლექსის ANSYS - ის, ან სხვა პროგრამული კომპლექსის საშუალებით“. მათ ასევე უნდა დაემატებინათ სასაზღვრო ელემენტების მეთოდები იგივე თემაზე.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დისერტაციებში თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია იქნებოდა გათვალისწინებული. თუმცა იმ დისერტაციებში, რომელიც იყო წარმოდგენილი, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ კლასიკური ლიტერატურა. მისი თქმით, დისერტაციებში იყო თანამედროვე ლიტერატურაც. რეკომენდაცია მისაღები იყო მათთვის.

რაც შეეხებოდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს. გასათვალისწინებელი იყო რჩევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით კვლევების გაძლიერებაზე, უნივერსიტეტის ჩართულობაზე/ხელშეწყობაზე საერთაშორისო მობილობის სქემებში და გრანტებში. მას სურდა მოეყვანა დოქტორანტის მაგალითი, რომელიც ჩართული იყო საგრანტო პროექტში რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. ასევე აღსანიშნავი იყო სხვა დოქტორანტის მაგალითი, რომელიც რამდენიმე წელია ჩართულია ჩართული იყო რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების მომზადებაში. თუმცა მათ ესმოდათ, რომ ეს არ იყო საკმარისი და ამ კუთხით მუშაობა უნდა გაძლიერებულიყო.

ექსპერტების მოსაზრებით, დოქტორანტებთან ინტერვიუების დროს დაფიქსირდა, რომ სასურველი იქნებოდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. შესაძლებელი იყო აღენიშნათ, რომ აკადემიურ პერსონალში ჩართული იყო პელსინგანის უნივერსიტეტის პროფესორი, ემირიტუსი. მას სასწავლო კომპონენტში ჰქონდა ორი ინგლისურენოვანი ზოგადსაუნივერსიტეტო და მიმართულების კურსები. ასევე, პროგრამაში მოწვეული ჰყავდათ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (რომელსაც ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობის მხრივ) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები. ამ ეტაპზე ისინი თანამშრომლობდნენ პოლონელებთან, რომ ისინიც ჩაერთოთ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მექანიკის მიმართულებით.

ლაბორატორიების აღჭურვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ურთიერთობა ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტთან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მხარს უჭერდა და ყველანაირად ეხმარებოდა პროგრამის პოპულარიზაციას. რუსულენოვან პროგრამაზე ჰყავდათ ჩარიცხული ყაზახეთის მოქალაქეები, სამმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია. მასალა წარდგენილი ჰქონდათ ექსპერტებთანაც. არსებობდა ერთობლივი კვლევები მათთან ერთად და ამ მხრივ თანამშრომლობა გაგრძელდებოდა.

შემდეგი რჩევა შეეხებოდა სილაბუსების უნიფიცირებას. ექსპერტთა მოსაზრებით, სილაბუსის ავტორებს მეტი თავისუფლება უნდა მისცემოდათ კრედიტების განაწილებისა და შეფასების

სისტემის შედგენისას. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სილაბუსების ფორმა იყო შემუშავებული ხარისხის სამსახურის მიერ. კრედიტები გადანაწილებული იყო ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საფეხურების მიხედვით და კრედიტების და შეფასების ფორმების ერგვაროვნება ხარისხის სამსახურის მოთხოვნა არ იყო, თუმცა სილაბუსები გახლდათ უნიფიცირებული.

საბჭოს წევრი დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა თანამშრომლობა ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტთან. იგი დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა კვლევების წარმოება, როდესაც ეს ინსტიტუტი იყო თბილისში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლაბორატორიული კვლევები ჯერ არ განხორციელებულა, ეს მოხდებოდა ახალი პროგრამის ფარგლებში, ლაბორატორიული კვლევების თვალსაზრისით რაც იქნებოდა აუცილებელი, განხორციელდებოდა თბილისში.

საბჭოს წევრი დენიტა ბიბილეიშვილი ასევე დაინტერესდა დისერტაციის დაცვის პროცესით. შეეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენ კაცია კოლეგია ჰყავდათ. რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ დოქტორანტურის დებულებაში პროცედურები დეტალურად იყო გაწერილი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო დისერტაციის წინასწარი განხილვა, ასევე რეგულაცია საჯარო დაცვის პროცესთან დაკავშირებით. იქმნებოდა სადისერტაციო კომისია 6 - 12 წევრის შემადგენლობით, მათგან 2 მოწვეული წევრი უნდა ყოფილიყო შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე სპეციალისტი. საჯარო განხილვის პროცედურები ასევე იყო გაწერილი.

საბჭოს წევრმა დენიტა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ მას აინტერესებდა თუ შედიოდნენ სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში ხელმძღვანელები და რეცენზენტები. რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეცენზენტს და ხელმძღვანელს ჰქონდათ სათათბირო ხმის უფლება და ისინი არ შედიოდნენ ამ კომისიაში.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, კვლევის ჩატარებისთვის თუ საიდან ფინანსდებოდა დოქტრანტისათვის თბილისში მივლინების ხარჯები. რაზეც წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტის ფინანსური საშუალებიდან გამომდინარე, თუ მას ჰქონდა საშუალება იგი თვითონ აფინანსებდა ამ ხარჯებს. მაგალითად, ერთ - ერთი დოქტორანტმა, რომელიც იყო სამშენებლო კომპანიის საპროექტო ბიუროს ხელმძღვანელი, თვითონ დააფინანსა ეს ხარჯები. პროგრამის ხელმძღვანელის ხარჯები კი დააფინანსა უნივერსიტეტმა. აუცილებლობის შემთხვევაში ფაკულტეტიც მზად იყო დაფინანსებისათვის.

საბჭოს წევრმა გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ ამჟამად ისინი იხილავდნენ ახალ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას. რეკომენდაციებისა და რჩევების სახით ექსპერტები ეხებოდნენ ლიტერატურის საკითხს, ფინანსურ მდგრადობას, კვლევების ნაკლოვანებას, ლაბორატორიის პრობლემებს და ა. შ. თუმცა შეფასება ყველა სტანდარტში ჰქონდათ სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან. აღნიშნული საკითხები (შენიშვნები და შეფასება) როგორ მოდიოდა ერთმანეთთან შესაბამისობაში. თუკი ფინანსურ საკითხებზე გაუმჯობესებისათვის ნაბიჯები იყო გადასადგმელი, ლიტერატურა იყო მოძველებული და სხვა ნაკლოვანებები შეინიშნებოდა, რატომ იყო შეფასებები



სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან. რეკომენდაციებისა და რჩევების გამიჯვნის საკითხიც მისთვის საინტერესო იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსეშვილმა განმარტა, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსთან დაკავშირებით მათი მოსაზრება იყო რჩევის შესაბამისი, რადგან მათ დაინახეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მზაობა შესაბამისად აღჭურვათ თანამედროვე რესურსით ლაბორატორიები. ასევე მათ ჰქონდათ შეხვედრები დამსაქმებლებთან, რომელთა გასაუბრებისას დაადგინეს, რომ ისინი მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უფრო მეტიც, ისინი აპირებენ უნივერსიტეტისთვის ამ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეექმნათ ორგანიზაციის ბაზაზე ლაბორატორია - ცენტრები. ორმხრივი მზაობიდან გამომდინარე, აღნიშნული მათ მიიჩნიეს სასურველად და მიუთითეს რჩევის სახით. ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით კი აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც ექსპერტები გაეცნენ ბიუჯეტის დოკუმენტს, მათაც გაუჩნდათ მსგავსი კითხვები. თუკი პროგრამას 7 სტუდენტი ეყოლებოდა, პროგრამა მომგებიანი იქნებოდა თუ არა. მათ ესაუბრეს ადმინისტრაციას, რომლის მხრიდან დაფიქსირდა ასეთი პოზიცია, - იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე პრობლემა გაუჩნდებოდა საგანმანათლებლო პროგრამას ფინანსური კუთხით, უნივერსიტეტს ჰქონდა როგორც კომერციალიზაციიდან ასევე, საგრანტო პროექტებიდან მიღებული შემოსავალი, რომელთა ხარჯზეც მოხდებოდა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა. საბჭოს წევრი გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, ექსპერტებმა თუ გადახედეს წინა გაუქმებულ სადოქტორო პროგრამების სადოქტორო ნაშრომებს და რა შთაბეჭდილება დარჩათ. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ამ ნაშრომებს და მათი მოსაზრებით, ისინი შესრულებული იყო საკმაოდ მაღალ დონეზე. უცხოელი დოქტორანტების ნაშრომები განიხილეს, სადოქტორო ნაშრომები შესრულებული იყო რუსულ ენაზე ყაზახი სტუდენტების მიერ. ეს ნაშრომები შემუშავებული იყო ადრე არსებული რუსულენოვანი პროგრამის ფარგლებში. გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით კი აღსანიშნავი იყო, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მაღალი დონის ბიბლიოთეკა. დისერტაციებში რამოდენიმე 70-იანი - 90 - იანი წლების ლიტერატურა იყო გამოყენებული. ექსპერტმა ლაბორატორიულ ბაზასთან დაკავშირებით დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ადრე ფუნქციონირებდა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე და ამჟამად მიმდინარეობდა განახლების პროცესი. მოძველებული იყო მასალათგამძლეობის ლაბორატორიის დანადგარები. ენერგეტიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორიები ჰქონდათ თანამედროვე და მაღალ დონეზე მოწყობილი, ასევე მასალები აქვთ რაღაც დონით ჩანაცვლებული, თუმცა განსაახლებელი მაინც იყო.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძე დაინტერესდა კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით. პროგრამის მიხედვით კვლევით კომპონენტი მოიცავდა 135 კრედიტს, იგი მოიცავდა კვლევის შედეგების პუბლიცირებას და კონფერენციაში მონაწილეობას. წარმოდგენილი იყო ასევე 3 კოლოქვიუმი და სადოქტორო დისერტაციის დაცვა. თუმცა ერთი სილაბუსის სახით მოცემული იყო კვლევითი კომპონენტი, სადაც ექვსივე კომპონენტი იყო გაერთიანებული. მან შესთავაზა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრება, რომ ხომ არ სჯობდა, თითოეულ კომპონენტს ჰქონოდა საკუთარი სილაბუსი, რაც სტუდენტს მეტი ორიენტაციის საშუალებას მისცემდა.



დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას პირადად ჰქონდათ „დისერტაციის მომზადებისა და დაცვის“ სილაბუსის მომზადების მცდელობა. თუმცა, რადგან ერთჯერადად უნდა მომხდარიყო ამ ყველაფრის შეფასება, მსჯელობის შედეგად ისინი ერთ სილაბუსში მოაქციეს. მისი თქმით, პროგრამაში ჩადებული იყო 3 კოლოქვიუმი. კოლოქვიუმზე განიხილებოდა დისერტაციის ნაწილები სწავლების სამივე წელს და ხდებოდა კოლოქვიუმის შეფასება.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სწორედ ამის გამოსაჩენად სჯობდა ყოფილიყო ცალ - ცალკე სილაბუსები, რა პრაქტიკაც იყო მიღებული სხვა უნივერსიტეტებში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს საკითხები დებულებაში იყო გაწერილი (კვლევითი კომპონენტის ყველა კომპონენტის შესრულების შესახებ), რასაც ისინი თავიდანვე აცნობდნენ დოქტორანტებს. დამატებით სურდა განმარტა კვლევების შესახებ. ადრე არსებულ ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტს გააჩნდა კარგი ტრადიცია რიცხვით გაანგარიშებთან დაკავშირებით. სასწავლო პროგრამაში ასევე ჩადებული იყო კომპიუტერული მოდელირების მიმართულებაც. შესაბამისად, მისი თქმით, კვლევების ნაწილში, მათ კომპიუტერული პროგრამირების თვალსაზრისით პრობლემები არ ჰქონდათ.

დაწესებულების საინჟინრო ფაკულტეტის დეკანმა ფრიდონ გოგიაშვილმა დამატებით გააკეთა განმარტება მატერიალურ-ტექნიკური და პროგრამის სტაბილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ იშვიათი იყო ასეთი შემთხვევა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოფილიყო ასე დაინტერესებული საინჟინრო მიმართულების განვითარებით. რაც საშუალებას აძლევდათ 7 დოქტორანტის მიღების პირობებშიც კი უზრუნველყოთ რესურსების სტაბილურობა, რომელიც საჭირო საკითხს წარმოადგენდა პროგრამის მიზნების შესასრულებლად. უნივერსიტეტში დანერგილი გახლდათ პრაქტიკა, რომ ტრანსფერის სახით ფაკულტეტს ეძლეოდა თავისი განკარგვისთვის გარკვეული რაოდენობის თანხა, რომლის გამოანგარიშებასაც საფუძვლად ედო ბევრი პარამეტრი. მათ შორის: კომიტეტის, პროფესორ - მასწავლებლების ჩართულობა, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა, შემოსავლები და ა. შ. ფაკულტეტი ამ თანხას მიმართავდა სტრატეგიული მიზნების მიმართულებით, მათ შორის სადოქტორო პროგრამების განვითარების მიმართულებით. მათი დოქტორანტების ძალიან დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ბიზნესში და ზოგიერთი მათგანი იქნებოდა გადამზადებული აკადემიური პერსონალის ჩანაცვლებისთვის საპენსიო ასაკის დადგომისას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი არ იყო ჩაკეტილი სისტემა, მას ჰქონდა მყარი პარტნიორული ურთიერთობა ტექნიკურ უნივერსიტეტთან და არსებული მემორანდუმის ფარგლებში მათ საშუალება ეძლეოდათ საჭიროების შემთხვევაში თანამედროვე ბაზები გამოეყენებინათ მაგალითად, სამშენებლო კონსტრუქციების მიმართულებით, მექანტრონიკის მიმართულებით და სხვა. სტუდენტებს ეძლეოდათ საშუალება ეს ბაზები გამოეყენებინათ შესაბამისი მიზნებისათვის. მივლინებებთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ გარკვეული სამუშაოების გასაცნობად და შესასრულებლად უნივერსიტეტი ღებულობდა გადაწყვეტილებას

მიველინა სტუდენტთა ჯგუფი თბილისში გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. ყოფილა დაფინანსების შემთხვევები.

პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დოქტორანტურაში სწავლას აფინანსებდა 40% - ით ერთიანი ბიუჯეტიდან, რაზეც საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამები ითხოვდა დოტაციას, თუკი პროგრამა ხარისხიანი იყო.

საბჭოს სხდომაზე 19:19 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:58 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავჯდომარემ დამატებით განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის ვადაში დაწესებულებას უნდა წარმოედგინა ანგარიში და მომხდარიყო რეკომენდაციების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტროენერგეტიკა
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის მაგისტრი ელექტროენერგეტიკაში, 040503
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შალვა კვირკველიამ აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება განხორციელდა მონიტორინგის პირობებში. მონიტორინგის განხორციელებისათვის პროგრამა შეირჩა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული კრიტერიუმის მიხედვით: „სწავლის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილი იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა-განვითარება“.

ისინი გაეცნენ ელექტროენერგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასალებს, განახორციელეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, პროგრამის ცვლილებებთან მომუშავე ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა პროგრამისთვის აუცილებელი ლაბორატორიული აღჭურვილობა. ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამის და რესურსების შეფასება აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების ფარგლებში. ექსპერტის განმარტების შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებული იყო და შეესაბამებოდა აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, შეძენილი იყო ლაბორატორიული მოწყობილობები, რომელიც აბსოლიტურად საკმარისი გახლდათ აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ექსპერტის თქმით, მიზანშეწონილი იყო, სასწავლო კურსში „ენერგო აუდიტი“ სავალდებულო ლიტერატურა მითითებული ყოფილიყო სრულყოფილად; სასწავლო კურსში „ელექტრონული სისტემების მუშაობის რეჟიმი და მათი ოპტიმიზაცია“ მითითებულ უნდა ყოფილიყო ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა;

სილაბუსებში უნდა დამატებოდა ახალი გამოცემის ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, ან აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული და შეთავაზებული უნდა ყოფილიყო ალტერნატიული სახელმძღვანელო მასალა;

პროგრამაში გამოყენებული სწავლა - სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში უნდა მოსულიყო კრედიტებით გაანგარიშების წესთან.¹

რჩევებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველი იყო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, შრომის უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინება პროგრამაში, ასევე, აკადემიური პერსონალის სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ფინანსების მოძიება/პერსონალის უზრუნველყოფა.

როგორც ვიზიტის დროს სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, მათი მომზადების დონე იყო მაღიან მაღალი, ერთ - ერთმა სტუდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ის გასცდა სასწავლო პროგრამების „დემო“ ვერსიის შესაძლებლობებს, გავიდა სწავლის შედეგებზე და პროფესიული კუთხით კარგად ერკვეოდა ელექტროენერგეტიკის კვანძების ოპტიმიზაციის საკითხებში. ასევე, აკადემიური პერსონალის მხრიდანაც გამოიკვეთა ტექნიკური საკითხების დეტალების, მაგალითად, რეაქტიული სიმძლავრის შემთხვევაში ტექნიკური საკითხების, განახლებული ენერგიის წყაროების, ვიბრაციის სენსორების გამოყენების და სხვა საკითხების კვლევის საჭიროება. ექსპერტის თქმით, ზოგადად პროგრამის განხორციელების პროცესი გამართული იყო

¹¹ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მე-3 ბრძანება.

და მათი მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა დადებითად. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან და რესურსებთან მიმართებით, პროგრამა უზრუნველყოფილი გახლდათ. მონიტორინგის ფარგლებში შეფასება მოხდა აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით, რომელთაგან პირველი და მეოთხე შეფასდა სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე - მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ლალი ზივზივამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პროგრამა, მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და გაიცა რეკომენდაციები და რჩევები. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის კუთხით, რაც შესაძლებელი იყო გაითვალისწინეს და ცვლილებები შეიტანეს პროგრამაში. ორ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნავი იყო, რომ ამჟამად მუშაობდა დეპარტამენტი პროგრამების აკრედიტაციისათვის მოზადებაზე, ამ პროგრამების განახლების პირობებში, მუშაობის პროცესში რეკომენდაციები სრულად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ დაწესებულების სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეხუსტებინათ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. მას აინტერესებდა რას მოისაზრებდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება და ამოწმებენ თუ არა უცხოენის ცოდნის დონეს. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ელექტროენერგეტიკისა და სხვა სამაგისტრო პროგრამების მიღების შემთხვევაში სტუდენტები აბარებდნენ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას, რომლის შესახებაც ინფორმაცია განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. მითითებული იყო საკითხები და სახელმძღვანელოები. დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში, სტუდენტი ირიცხებოდა პროგრამაზე, უცხო ენაში კი სამაგისტრო პროგრამაზე ცალკე გამოცდა არ იყო განსაზღვრული. პროგრამაში ჩადებული იყო უცხო ენა, რომელსაც საკმაოდ დიდი კრედიტი ჰქონდა დათმობილი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ენათა ცენტრიც, უცხო ენის შესწავლის შემდეგ სტუდენტი გადოდა სწავლების B2 დონეზე.

საბჭოს თავჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა უცხოენოვანი ლიტერატურის შესახებ. შეეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს შესაძლებელი იყო თუ არა, რომ B1 დონის ფლობის შემთხვევაში სტუდენტს წაეკითხა დარგობრივი ლიტერატურა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხი დამოკიდებული იყო სტუდენტის საწყის დონეზე. არსებობდა უცხო ენის B1 და B2 დონის სილაბუსები, განიხილებოდა/ისწავლებოდა დარგობრივი ინგლისური. ინლისურენოვანი ლიტერატურაც სახელმძღვანელოების სახით ჩადებული იყო სილაბუსებში. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ისინი გეგმავდნენ დარგობრივი ინგლისურის საკითხების და დატვირთვის გაზრდას ახალ განახლებულ პროგრამებში, რათა გადრმავებულიყო ინტერნაციონალიზაცია და მაქსიმალურად ხელი შეეწყობოდა კვლევის უნარების განვითარებას.

საბჭოს სხდომაზე 19:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.



საბჭოს სხდომა განახლდა 19:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.



3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი, 0405
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შალვა კვირკველიამ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება, როგორც წინა განხილული პროგრამისა, განხორციელდა მონიტორინგის პირობებში. მონიტორინგის განხორციელებისათვის პროგრამა შეირჩა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული კრიტერიუმის მიხედვით: „სწავლის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილი იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა-



განვითარება“. მონიტორინგის პირობებში საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით.

„ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამაში სახეზე იყო მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და რესურსები დაკმაყოფილებული იყო, ეწსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ორი რეკომენდაცია. სილაბუსებში უნდა დამატებოდა ახალი გამოცემის ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, ან აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული და შეთავაზებული ყოფილიყო ალტერნატიული სახელმძღვანელო მასალა;

პროგრამაში გამოყენებული სწავლა - სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში უნდა მოსულიყო კრედიტებით გაანგარიშების წესთან.²

საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა მათ ჩამოეყალიბებინათ, თუ რა სამუშაოები იყო ჩატარებული/ლონისძიებები გატარებული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ქეთევან ცხაკაიამ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ინტერდისციპლინარული, რომელიც შექმნილი იყო USAID პროექტის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამა დიდი პოპულარულობით სარგებლობდა არამარტო ინჟინერებსა და ელექტროენერგეტიკის სპეციალისტებს შორის, არამედ ამ პროგრამაზე ისინი იღებდნენ ეკონომიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია მათ უკვე გასწორებული ჰქონდათ. ლიტერატურასთან დაკავშირებით დაეთანხმნენ ექსპერტებს, რომ ნამდვილად მოძველებული იყო და საჭიროებდა განახლებას. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს, ახლა ემზადებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისთვის (2020 წლისთვის) და აღნიშნულ შენიშვნებს გაითვალისწინებენ.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ ყურადღება გაამახვილა ორი სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით. „სამეცნიერო კვლევის პრაქტიკა“ და „სამეცნიერო პედაგოგიური პრაქტიკა“ მისთვის ცოტა გაუგებრად იყო შედგენილი, იგი დაინტერესდა რატომ იყო ლიტერატურა ორივეში ერთიდაიგივე. (ერთში- 32 წყარო; მეორეში-34 წყარო). ასევე დაამატა, რომ აღნიშნული 32 წყაროდან, 9 იყო რუსულენოვანი სახელმძღვანელოები გამოცემული 1978, 1983 და 1987 წლებში. მისი მოსაზრებით, უნდა გადამუშავებულიყო სილაბუსები და განახლებულიყო ლიტერატურა. მაგალითად, „ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის“ სილაბუსში - 2001, 2002 წლის წიგნები იყო გამოყენებული, „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლების“ სილაბუსში - ყველაზე ახალი წყარო 2006 წელს იყო გამოცემული. საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა, არსებობდა თუ არა

² „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მე-3 ბრძანება.

უფრო ახალი ლიტერატურა და არსებობის შემთხვევაში, რა იყო ახალი გამოცემების გამოუყენებლობის მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა შეიქმნა 2010 წელს და ომ სილაბუსების (რომელიც საბჭოს წევრმა ჩამოთვალა) ავტორის ჰქონდა გამოცემული სახელმძღვანელოები. მისი განმარტებით, 2012 წლის შემდეგაც იყო ბევრი ლიტერატურა გამოცემული, მათ შორის, მათი დეპარტამენტიც მუშაობდა სახელმძღვანელოების შექმნაზე და ხელახალი აკრედიტაციის მზადების პროცესში, მომდევნო აკრედიტაციისთვის აუცილებლად განაახლებენ სილაბუსებს. რაც შეეხებოდა პრაქტიკის სილაბუსებში ლიტერატურის ჩამონათვალის მსგავსებას, მან განმარტა, რომ იმდენად სპეციფიური იყო პრაქტიკის სილაბუსები, რომ მასში თავმოყრილი იყო ყველა საგნის წიგნი, რაც ისწავლებოდა იმ პერიოდში.

საბჭოს თავჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა დამატებით განმარტა, რომ სილაბუსების განახლება ყოველწლიურად იყო საჭირო. მისი მოსაზრებით, სახელმძღვანელოების განახლების საკითხში, ისინი არ უნდა დალოდებოდნენ ხელახალი აკრედიტაციის პერიოდს. არსებობდა დარგები, სადაც აქტიურად მუშაობდნენ მეცნიერები დარგობრივი მასალის შექმნაზე და გამოდიოდა საინტერესო/ ახალი სახელმძღვანელოები.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, შალვა კვირკველიამ აღნიშნა, რომ რომ ექსპერტებმა რეკომენდაციაში ახალი ქართულენოვანი გამოცემების შესახებ მიუთითეს. დამატებით განმარტა, რომ რომ გამოცემის წელი ყოველთვის არ განაპირობებდა სახელმძღვანელოს ვარგისიანობას.

საბჭოს სხდომაზე 20:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:20 საათზე.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტროენერგეტიკული

მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის მაგისტრი, 1109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტს ესაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი ვასილ კიკუტაძე ზეპირი მოსმენის განხილვაში ჩაერთო სატელეფონო საუბრით და აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებით შემოწმება განხორციელდა მონიტორინგის პირობებში. დაწესებულების საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებული იყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2017 წლის 31 აგვისტოს №60 გადაწყვეტილებით. ამასთან, ამ პროგრამისათვის გადაწყვეტილების მიღებისას,

აკრედიტაციის საბჭომ აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, მიმართა ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის შემოწმება განახორციელა აკრედიტაციის პირველი, მე-2 და მე-4 სტანდარტის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირველ რიგში გადამოწმებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებული იყო, თუმცა მათ მოუწიათ ახალი ერთი რეკომენდაციის დამატება, ვინაიდან საგნის სახელწოდება იყო გაუმართავი (სილაბუსი - „პროექტის მენეჯმენტი“). ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა ასევე რჩევებიც.

საკითხის განხილვას ასევე შემოუერთდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო დავითაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რა ღონისძიებები განახორციელეს საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის პირობების შესასრულებლად და პროგრამის განვითარებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსმა ციური დურულმა აღნიშნა, რომ მათ დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები იქნა გათვალისწინებული. პროგრამაში სოციალურ-პოლიტიკური სასწავლო კურსების ბლოკში დაემატა „სოციალური პოლიტიკის“ კურსი. პროგრამის სტრუქტურაში ასევე დაემატა „პროექტის მენეჯმენტის“ კურსი. ეს სასწავლო კურსი შესაბამისი დონით ისწავლებოდა დაწესებულების საბაკალავრო საფეხურის იმავე კვალიფიკაციის პროგრამაზე. თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, თუკი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი თუ მათი კურსდამთავრებული არ იყო, შესაძლებელია აღნიშნული კურსი გავლილი არ ჰქონოდა. ამიტომ, კურსი დამატებულ იქნა პროგრამის სტრუქტურაში „ეკონომიკისა და ბიზნესის“ სასწავლო კურსების არჩევით ბლოკში. თუმცა, როგორც მიმდინარე შემოწმების პირობებში ექსპერტთა მიერ გამოიკვეთა ახალი რეკომენდაცია დისციპლინის სახელწოდებასთან მიმართებით. მათი მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო კურსის სახელწოდება ყოფილიყო „პროექტების სტრატეგიული მენეჯმენტი“, რასაც ფაკულტეტის საბჭოზე განიხილავენ და რჩევებთან ერთად გაითვალისწინებდნენ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 20:40 საათზე.

სხდომა განახლდა: 20:45 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:



მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

20:50 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი:

სალომე თოთიბაძე